ლიზა გილიგაშვილი

კავკასიის მედიის სკოლა

ტურიბას უნივერსიტეტი, ლატვია

გაცვლითი პროგრამის დაწყებამდე ერთდროულად სიხარულსა და შიშს ვგრძნობდი, რადგან პირველად მიწევდა დიდი ხნით ოჯახის, სახლისა და მეგობრების დატოვება. მოლოდინი სავსე იყო ემოციებითა და კითხვებით: შევძლებდი ახალ გარემოსთან შეგუებას? მოვერგებოდი განსხვავებულ სასწავლო სისტემას, ცხოვრების წესსა და კულტურას? თუმცა, როცა ჩავფრინდი, შიშები თანდათან გაქრა.

პირველი დღე საორიენტაციო ტურით დაიწყო. დაგვათვალიერებინეს უნივერსიტეტი, გაგვაცნეს სტუდენტური ცხოვრება და ისეთი მეგობრული გარემო დამხვდა, რომ სტრესი სრულიად მომეხსნა. მალევე გავაცნობიერე, რომ გაცვლითი პროგრამა მხოლოდ სწავლას არ გულისხმობდა – ეს იყო პიროვნული განვითარების, განსხვავებული ხედვების გაზიარებისა და საერთაშორისო კავშირების გაღრმავების შესაძლებლობა.

სასწავლო პროცესი დინამიკური და ინოვაციური აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ თეორიით არ შემოიფარგლებოდა. ლექციები მოიცავდა პრაქტიკულ დავალებებსა და ჯგუფურ პროექტებს, რაც პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვნად დამეხმარა. ყველა საგანს თან ახლდა დისკუსიები და საერთაშორისო სტუდენტებთან თანამშრომლობა, რაც ახალი პერსპექტივების დანახვის შესაძლებლობას მაძლევდა.

ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დადებითი მხარე ახალი მეგობრების შეძენა იყო. თითქმის ყოველდღე ვერთვებოდით სტუდენტურ აქტივობებში, რაც საშუალებას გვაძლევდა, უკეთ გაგვეცნო ლატვიური კულტურა და ერთმანეთი. სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან ურთიერთობამ დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურათა გაცვლა და გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრირება.

ვფიქრობ, გაცვლითი პროგრამის გამოცდილება ადამიანს ფუნდამენტურად ცვლის. დამოუკიდებლად ცხოვრების პერიოდში ვისწავლე დროის მართვა, ახალ გარემოში სწრაფად ადაპტირება და გამომიმუშავდა ისეთი უნარები , რაც მომავალში კარიერულ წარმატებაში აუცილებლად შემიწყობს ხელს. ეს ყველაფერი მარწმუნებს, რომ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში.